მუშათა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 23 ივნისი, 1942 წ. № 146 (6462). ფასი 15 კაპ.

„ჩვენ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ვაწარმოებთ. ჩვენ ისეთი მიზნები როდი გვაქვს, რომ სხვისი ქვეყნები ჩავიგდოთ ხელში. სხვა ხალხები დავიპყროთ. ჩვენი მიზანი ნათელი და კეთილშობილია. ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ჩვენი საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან. ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი ძმები—უკრაინელები, მოლდაველები, ბელორუსები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები იმ სირცხვილისა და დამცირებისაგან, რასაც მათ აყენებენ გერმანელი ფაშისტი არამზადები".

(თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის საკირველმაისო. ბრძანებიდან).

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის. მარცხნივ — გარდამავალი წითელი დროშის წინაპარი, მარჯვნივ—საბჭოთა ეკიპაჟი მრეწველ იობის სოციალისტურ ქარხნისათვის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის უკანა მხარე.

მოკმედი არმია (ლენინგრადის ფრონტი). სურათზე: არტილერისტებს ბლინდაჟიდან გამოაქვთ ქვემეხი პირდაპირი დამიზნებით სროლისათვის.
ფოტო ს. ნოსოშენკისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოკმედი არმია. (სამხ.-დასავ. ფრონტი). სურათზე: ორდენოსან მფრინველ კაპიტან ა. კრიკუის მოაქვს ფეიერლები და ბრძოლები ფაშისტების მიერ დროებით ოკუპირებულ უკრაინულ სოფლებსა და ქალაქებში, ჩამოსაყრელად.

ომის ერთი წელი

ერთი წლის წინათ ჰიტლერის გერმანია ისტორიაში უმაგალითო ვერაგობით დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, რაიმე მოთხოვნის წაყენებულად, ომის გამოუცხადებლად, ავაზაკურად, ქურდულად, როგორც ღამის ყაჩაღმა, ტემოუსა ჰიტლერმა თავისი მოტორიზებული ურდოები ჩვენს საშობლოს. მშვიდობიან ზაფხულის ღამეს, რომელიც ამიერიდან დაუვიწყარი იქნება მთელი მსოფლიოსათვის, გერმანიის ზარბაზნებმა გრიგალისებრი ცეცხლი დაუშინეს საზღვრისპირა საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს, გერმანელი ჯარის კაცები და ოფიცრები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ, გერმანელმა თვითმფრინავებმა სიკვდილი და ნგრევა მოუტანეს ჩვენს ქვრებს.

გიჟური სიბრძნავით შეპყრობილი ჰიტლერი ფიქრობდა, რომ 1941 წლის 22 ივნისი ბისი „დიდების" გვირგვინი გახდებოდა. ნამდვილად კი ამ დღეს მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა თავის თავსა და თავის დანაშაულებრივ ბანდას. ეს დღე შავრაზმული ჰიტლერული რეკიმის აღსასრულის დასაწყისი გახდა, ამ დღეს მწვავე სირცხვილით მოიგონებენ გერმანელები შომავალი თაობანი, როგორც თანამედროვე ბარბაროსობა და ნაპოლეონის შემსვეკა გადაატანა, რომელმაც ისტორიული ბედის ყველა უკეთესმართობაში გამოაცარა დაუმრეველი შემოქმედებითი ნიჭი და მაღალი მორალური ძალა. ისინი ოცნებობდნენ მოესპოთ, პირისაგან მიწისა აღეგავთ მრავალსუკუნოვანი რუსული კულტურა, რომელმაც მსოფლიოს მისცა ადამიანის გენის უკვდავი ქმნილებანი. მათ გადასწყვიტეს დაემორჩილებინათ საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებმაც თავისუფალი ბედნიერი ცხოვრების ნაყოფი იგემეს.

სასტიკად მოსტყუუვდნენ ეს ყომარბაზები, რომელებმაც სამყაროს დამმონებლებად წარმოიდგინეს თავიანთი თავი. მათ ქარი დასთესეს და ქარიშხალი მოიმკეს.

მთელი მსოფლიო სულგანაბული აფეთქებდა თვალყურს საბჭოთა ხალხს, წითელი არმიის გმირულ ორთაბრძოლას ჰიტლერისა და მისი დამქაშების საშინელი სამხედრო მანქანის წინააღმდეგ. მოულოდნელი და უეცარი თავდასხმით გამოწვეულმა დროებითმა წარეთმატებლობამ, ძმიმე განსაცდელმა და მსხვერპლმა კი ვერ გასტეხეს, არამედ გამოაწრთეს საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა. სამშობლოს სიყვარული ნამდვილ სასწაულს ჰქმნიდა. გერმანელთა მიერ ქალაქებისა და სოფლების დაპყრობით გამოწვეულმა გულისტკივილმა სიძულვილის წმინდა ცეცხლი აგიზგიზებს, სანამ ჰტრის უკანასკნელი ჯარისკაცი არ ჩამაღდება ჩვენს მიწა-წყალზე. ოკუპანტებიც უმაგალითო ბოროტმოქმედებამ, მათ მიერ ღვარად დაფენილმა სისხლმა, ქალების გაუპატიურებამ, ბავშვებისა და მოხუცების დაზოგვამ, უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვა-წამებამ ზურისძიების ისეთი დაუცხრომელი ყურეული წარმოშვა, რომელსაც შეუძლია მთები შესცრას.

ჰიტლერელი ენენერალი იმეფოთ ნებისენ, რომ მოტორის შემწეობით გაუსწრებდნენ დროს და გადალახავდნენ სივრცეს. მათი ავანტურისტული ვარაუდი თავისი ურეკეი ნებისყოფითა და სიმტკიცით გაეკარწყლა საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია მეთაურობს, ეს ვარაუდი გაქარწყლებულ იქნა საბჭოთა მეომრების მედგრობითა და გმირობით, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სამართლიან ომს ეწევიან, გაქარწყლებულ იქნა საბჭოთა ადამიანების მამის, მასწავლებლისა და მეგობრის, ჩვენი ბელადისა და მხედართმთავარის — ამხანაგ სტალინის სტრატეგიული გენიით.

მრავალი თვის ომმა ზედიზედ დაამსგავა გერმანელ ფაშისტ ავანტიურისტთა სტრატეგიული გეგმები, ხოლო ჩვენი სამშობლოს თვალწინ ველები ჰიტლერელ ავაზაკთა ასობით ადრის ბოლკებისა და დივიზიების სამარად იქცა. ძვირად დაუჯდათ გერმანელ დამპყრობთ ჩვენი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია, ხოლო სრული შურისძიება მათ ჯერ კიდევ მოელით! მალე მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ გერმანელი პრობაგანდის მიერ დიდი ამბით გამოცხადებული „გამარჯვებანი" ჭეშმარიტად რომ პიროსის გამარჯვებები იყო, და უფრო მიზეზრილმა გერმანელმა გენერლებმა ბეჭერებმა ბაიხსენეს 1918 წლის თვალწინ ალაზეთ: „ასეთი გამარჯვებე ჩვენ დაგვიპაგეს!"

საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ ერთი წლის ომმა ჰიტლერის გერმანია დაასუსტა სამხედრო და ეკონომიური მხრივ და პოლიტიკურად. სადღა ჰიტლერელი პრობაგანდის მიერ შექმნილი ლეგენდა გერმანის არმიის უძლეველობისა? იგი გაიკამტვერა საბჭოთა არტილერიისა და ქვეითი ჯარის ცეცხლმა, სტალინური შეარდნებისა და ტანკისტების მამაცობამ. იგი მოსკოვის მიდამოების თოვლში და უკრაინის ველებში დასამარდა.

ალი ალის ფაშისტების ყალბი კვინნა ავტარკიით, მით, რომ „მესამე იმპერიისათვის" შიმშილი საშინი არის? გაკიაენრებული ომი რეზერვებს ომი, რესურსების ომია. ჰიტლერის გერმანიისა კი ადამიანთა რეზერვები ილეკა, ნავთი ილეკა, ნედლეული ილეკა, შიმშილი სულ უფრო და უფრო უმეტეს ყველში მოსახლეობას. 1941 წლის ზაფხულიდან გერმანიის მრეწველობის წარმოება ეცემა. გერმანიის სოფლის მეურნეობა ღრმა კრიზისს განიცდის. სულ უფრო და უფრო მწვავდება მუშახელის ნაკლებობა, ხოლო ამ მონების შრომა, რომელებსაც ოკუპირებული და ვასალური ქვეყნებიდან მიერეკებენ გერმანიის პლუტოკრატებისა და იუნკერების ქარხნებსა და მამულებში, უნაყოფოა. მთლად ირღვევა გერმანიის ეკონომიკის ტრიშკის ნიფთანი.

სად არის გერმანელი ფაშისტი ყალთაბანდების გოხეთაჩოლეები ბაქიობა სსრ კავშირის წინააღმდეგ „ჯადოსნურად" „ლაშქრობის" შესახებ? ჰიტლერის სამეფისწერო ავანტიურამ შეშფოთება და დანაღვლება გამოიწვია გერმანიაში. თვითდათვალიერება უმიდოობისა და სასოწარკვეთილების განწყობილება, უკვე იწყება დამშეულთა ამბოხებანი. სატყვიამფრქვევი ბუდეები გერმანიის ქალაქებში, ვეტაპოს სისხლისმღვრელი ტერორი, ათობით და ასობით ადამიანის დახვრეტა—ასეთი საშუალებით ინარჩუნებს ჯერ კიდევ ხელისუფლებას ჰიტლერელთა ხროვა. მაგრამ მთელი საკითხი ის არის, დიდხანს გაჩყვებათ თუ არა ეს საშუალებანი?

ამავე დროს დღითი-დღე სულ უფრო და უფრო მეტად ძლიერდება ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში. ლიბიეს ლაჩარი ჯალათები ძრწიან ხვალინდელი დღის შიშით, როდესაც ეკრანის გატანჯული, დამონებული ხალხების გულიდან გადმოხეთქავს მრავალხმიანი ძახილი: „შური ვიძიოთ!

დიდი სამამულო ომის ერთი წლის განმავლობაში ეროვნული ორგანიზებული და ძლიერი გახდა. ომის ცეცხლში გამოწრთნენ მისი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები. მათ მასობრივ გმირობასა და თავგანწირვას, გულადობასა და ვაჟკაცობას, მედგრობასა და მამაცობას ბადალი არ მოუპოვება ისტორიაში და მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის საერთო აღტაცებას იწვევს. საბჭოთა მეომრებმა ისწავლეს მტრის გამოცნობა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების სწორი შეფასება. გაიზარდა მათი გამოცდილება და გამჭრიახობა. მატულობს მათი უნარი და ხელოვნება. სახელოვნენი სახალხო შურისმგებლები — პარტიზანები რისხვა გახდნენ საზიზღარ გერმანელ დამპყრობთა და მათი დამქაშებისათვის.

საბჭოთა ეკონომიკამ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო თავისი ძლიერება; ორგანიზებულობა, ომის ძნელ პირობებთან შეგუების უნარი. მტრისთვის მიუწვდომელ ადგილებში, ტანკის ქალაქებსა და თვითმფრინავის ქალაქებში საბჭოთა პატრიოტების თავდადებული შრომა სულ უფრო და უფრო მეტ საუბრელს ჰქმნის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში უხვი მოსავალი მწიფეს. ჩვენმა ადამიანებმა ისწავლეს მტრის შეძლება მთელი სულითა და გულით, სასიკვდილო საფრთხის შეგნებამ გააოცეკცა ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა ძალები.

ერთიან საბჭოთა ოჯახში, ბოლშევიკური პარტიის — გერმანელ ფაშისტორის—გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო ისე დგარაზმენენ სსრ კავშირის ყველა ხალხი, მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, ფრონტის გმირები და შრომის გმირები ზურგში, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილან დარაზმულნი. მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომ შეეძლოს ამ ერთობის შეიხეყვა.

სამარცხვინოდ ჩაიფუშა ჰიტლერის ვარაუდი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იზოლაციის შესახებ. გერმანულ-ფაშისტური იმპერიალიზმის შეჯავშნული ყაჩაღური ურდოების წინააღმდეგ ომის დროს ჩვენი სამშობლო იმედი და დასაყრდენი გახდა სისხლიანი ჰიტლერიზმის ყველა მსხვერპლისა და მოწინააღმდეგისათვის. ომის ქარცეცხლში იშვა და გაწმტკიცდა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების მძლავრი, ანტიჰიტლერული კოალიცია, რომელსაც სათავეში უდგას სსრ დიდი დემოკრატიული სახელმწიფო—საბჭოთა კავშირი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. მტაცდება ამ სახელმწიფოთა მეგობრობისა და კავშირის ძალები, რასაც ნათლად მოწმობენ ლონდონსა და ვაშინგტონში ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ყოფნის დროს დადებული შეთანხმებანი.

შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ჰიტლერის გერმანია ორ ორონტზე ომის რკინის მარწუხში მოექცევა, როდესაც ეცხადება ქვეყანა კოშმარი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში აშინებდა იმპერიალისტური გერმანიის ყველა ოდნავ მაინც გონიერ პოლიტიკოსს.

ომის წლისთავის დღეს მუხლს ვიდრეკთ სამშობლოსათვის თავდადებულ უკვდავ გმირთა ნათელი ხსოვნის წინაშე. მათი გულის სისხლითა ჩაკირული მომავალი გამარჯვება მტერზე. ამათ ხსოვნა უკვდავი იქნება ხალხის დიდი გულში.

ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვება თავისთავად არ მოვა, რომ იგი მეფდარი და სისხლისმღვრელი ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია და ომის შუში, რომ მას უცილობლად ახლვევინებენ ჩაღნილ ბოროტმოქმედებას, ახალ-ახალ სამნილ ავანტიურის ჩაადენინებს მას. გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა ეკლიანია, ჩვენ ახალ-ახალი მსხვერპლი, ახალ-ახალი გაჭირვება, ახალ-ახალი სიძნელე მოგველის ამ გზაზე. მაგრამ ჩვენი რწმენა გამარჯვებისა ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ასე ძლიერი, როგორც ამჟამად არის.

ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენი მიზანი ნათელი და კეთილშობილეულია. ლენინ-სტალინის დიადი დროშით ჩვენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებულ ჩვენს გმირულ ბრძოლას მათს სრულ განადგურებამდე მივიყვანთ, ჩვენი სამშობლოს და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საქმეს სრულ გამარჯვებამდე მივიყვანთ. 1942 წელი მტრის საბოლოო დამარცხების, ჩვენი სამოქალო გამარჯვების წელი იქნება.

„პრავდის" მოწინავე, 22/VI.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან დაკავშირებულ ომებში ბრძოლის ბისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულნი არიან:

წითელი დროშის ორდენით: უფროსი სერჟანტი დავით ლაზარეს-ძე **ნეფარიძე**, სერჟანტი მელიტონ ნიკიფორეს-ძე **სანდუხაძე**, უმცროსი სერჟანტი შალვა ისაკის-ძე **სახაჩიძე**, უმცროსი სერჟანტი გიორგი სელვანოს-ძე **მალლაკელიძე**, ეფრეიტორი კუშუკ კამბალუტის-ძე **ებაძე**, წითელარმიელი გრიგოლ სოლომონის-ძე **ესართია**.

წითელი ვარსკვლავის ორდენით: სერჟანტი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **გაბისანია**, წითელარმიელები ივანე კონსტანტინეს-ძე **ელისაშვილი**, ღვთისო ივანეს-ძე **კენქაძე**, გიორგი ღიმიტრის-ძე **პაალიაშვილი**, ბაგრატ არონის-ძე **კისეშვილი**.

მედლით „მამაცობისათვის": უმცროსი სერჟანტი შოთა თომოს-ძე **ლორია**, ეფრეიტორი ვიქტორ გიორგოს-ძე **ჩიტაძე**, წითელარმიელები შალიკო გრიგოლის-ძე **გულისსამდაშვილი**, ოსტატ კიბალ-ძე **შელია**, მიხეილ ისიდორეს-ძე **მეგრელიშვილი**, ნიკოლოზ ქრისტეფორეს-ძე **ბაბია**, გრიგოლ ფილიპეს-ძე **ლაბადა**.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის": სერჟანტი გრიგოლ დავითის-ძე **გადელია**.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომბაინერთა შრომის დამაჯეზითი საზღაურის შესახებ

კოლმეურნეობებში მოსავლის აღების კარგად ჩატარებაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომბაინერთა წვლილისების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. წინადადება მიეცეთ კოლმეურნეობებს დამატებითი სახლიერი აძლიოს მარცვლეულით კომბაინერებს მტს-ებისაგან მათ მიერ მოსავლის შრომის საზღაურის გადაძატებით მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზრის მოსავლის კომბაინებით კარგად აღებისათვის; აღნიშნული სახლიერი დაწესდეს შემდეგი რაოდენობით:

ა) 15-ფუტიანი კომბაინით მოსავლის აღებისას კომბაინერს, რომელიც დღეში თითო კომბაინზე 30-დან 80-მდე ცენტნერს გალეწავს, აძლიონ 300 გრამი მარცვლეული 30 ცენტნერის გადამტებით გალეწილ ყოველ ცენტნერ მარცვლეულზე და 400 გრამი მარცვლეული—80 ცენტნერის გადამტებით გალეწილ ყოველ ცენტნერ მარცვლეულზე;

ბ) 20-ფუტიანი კომბაინით მოსავლის აღებისას კომბაინერს, რომელიც დღეში თითო კომბაინზე 40-დან 90-მდე ცენტნერს გალეწავს, აძლიონ 200 გრამი მარცვლეული 40 ცენტნერის გადამტებით გალეწილ ყოველ ცენტნერ მარცვლეულზე და 300 გრამი—90 ცენტნერის გადამტებით გალეწილ ყოველ ცენტნერ მარცვლეულზე;

გ) კომბაინერებს, რომლებიც არხანგელსკის, ვოლოგდის, გორკის, ივანოვოს, კალინინის, კიროვის, ლენინგრადის, მოსკოვის, ორიოლის, სმოლენსკის, რიაზანის, ტულის, იაროსლავლის, მოლოტოვის, სვერდლოვსკის, ჩიტის, ირკუტსკის ოლქების, ბაშკიროსტანისა და პრიმორიეს მხარეთა, კომის, მარეთის, უდმურტეთის, იაკუტიის, ბურიატ-მონღოლეთის სსს რესპუბლიკების, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და ყარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ, დამატებითი საზღაური აძლიონ დაწესებული 20 ცენტნერი გალეწილი მარცვლეულით 15-ფუტიანი კომბაინით მოსავლის აღებისას და დაწესებული 30 ცენტნერით—20-ფუტიანი კომბაინით მოსავლის აღებისას;

დ) ჩრდილოეთის კომბაინით მოსავლის აღებისას კომბაინერს, რომელიც თითო კომბაინზე დღეში 10-დან 20-მდე ცენტნერ მარცვლეულს გალეწავს, აძლიონ 400 გრამი მარცვლეული 10 ცენტნერის გადამტებით გალეწილ ყოველ ცენტნერ მარცვლეულზე და 500 გრამი—20 ცენტნერის გადამტებით გალეწილ თითოეულ ცენტნერ მარცვლეულზე.

2. კომბაინით მოსავლის აღებისას მარცვლეულის ჭარბი დამტვერიანების შემთხვევაში, რაც გამოწვეულია კომბაინერის მიზეზით, წინადადება მიეცეს მტს-ების დირექტორებს 30 პროცენტამდე შეუმცირონ კომბაინერებს ნატურალური დამატებითი საზღაურის რაოდენობა.

3. კომბაინერს, აგრეგატს უფროსს, რომელიც ორმაგი ან სამმაგი გადამტული კომბაინით მუშაობს, ნატურალური დამატებითი საზღაურის ოდენობა ეფიდოდეს 10 პროცენტით.

4. დაეკალოს მტს-ების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს ეზრუნველჰყონ თითოეული კომბაინერ მიერ გალეწილი მარცვლეულის ყოველდღიური ბუღმოდგენე ალრიცხვა და კოლმეურნეობათა მიერ შრომის დამატებითი ნატურალური საზღაურის დარიცხვა მათთვის.

5. დაწესდეს, რომ მარცვლეულით დამატებითს ნატურალურ საზღაურს კომბაინერებს კოლმეურნეობანი აძლევენ ამა თუ იმ კოლმეურნეობაში კომბაინერის მიერ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ბ-ნ კორდელ ჰელის დეკეგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვისადმი

თქვენ საშუალებით საბჭოთა კავშირის თავრობას და ხალხს შეეფიეტელი შტატების თავრობისა და ხალხის სახელით ვულოცავ იმ წარმატებით წინაადმდეგობას, რომელიც თქვენ გაუწიეთ ფაშისტური გერმანიის სსტეკ ავრესიას და ამრიგად დაამსხვრიეთ მსოფლიოს დაპყრობის გეგმა, რაც ესოდენ გულდაჯერებულობთ შეადგინა ჩვენმა საერთო მტერმა. საბჭოთა კავშირის ხალხი მთელი წლის განმავლობაში ეწეოდა ბრძოლას არა მარტო ფაშისტური გერმანიის არმიებთან, არამედ ევროპის იმ სხვა ქვეყნების არმიებთანაც, რომელთა თითრობებიც ფაშისტების კარნახით მოქმედებდნენ. ამ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, მთელი მოსახლეობის გმირული დახმარებით, ამღებად ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი ვალი, რომ მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა აღტაცება გამოიწვიეს და ადგილი დაიმსახურეს ისტორიაში რუსეთის იმ არმიების გვერდით, რომელთაც სატანური და ერთი მეოთხედის წინათ ესოდენ ბევრი რამ გააოთეს, რათა დაემსხვრიათ მსოფლიოს დაპყრობის სხვა პრეტენდენტის გეგმა.

წარსული წლის განმავლობაში ამერიკელი ხალხი, თუმცა მას აგრესიის საფრთხე მოელოდა რამდენიმე მხრიდან, ხალისით უყოფდა თავის იარაღსა და მასალას საბჭოთა კავშირს. დაგეგმილია, რომ მომავალ წელს ეს იარაღი და მასალები ისეთ ნაკადად წამოვა ჩვენი ქარხნებიდან და ფირმებიდან, რომელიც უფრო და უფრო გაიზრდება მანამდე, სანამ საბოლოო გამარჯვება არ იქნება მიღწეული.

დარწმუნებული ვართ, რომ მეორე წლის დამლევამდე ვიგრძნობენებით ამ ომის გამარჯვებელთ, თუ რაოდენ სერიოზულად არასაკმაოდ შეიფასეს მათ მშვიდობისმოყვარე ხალხთა მტაცეცა გადაწყვეტილება და უნარი ეფექტანი მოქმედებისა, და ისინი გიიგებენ, რომ გამოღვიძებულ მსოფლიოში აგრესორები ვეღარ დაიწეევენ თავს იმ აქტების შედეგებს, რომელთაც ტანჯვა და ნგრევა მოსდევს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსთა შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის მბრძოლ წოდების მინიჭების შესახებ

პასუხსაგები შორი ფრონტს განხორციელების დარგში მთავრობის დავალების შესრულებისას მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის

„ოქროს ვარსკვლავი"

1. მაიორ ეფიდერ კარლის-ძე **პუსეპს**,
2. მაიორ სერგი მიხეილის-ძე **რომანოვს**,
3. მაიორ ალექსანდრე პაველ-ძე **შტეპენკოს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 20 ივნისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსთა შემადგენლობის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

პასუხსაგები შორი ფრონტს განხორციელების დარგში მთავრობის დავალების შესრულებისას გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნენ:

ლენინის ორდენით

1. ინჟინერ-კაპიტანი სიმონ ნიკოლოზის-ძე **დმიტრიევი**,
2. ინჟინერ-კაპიტანი ალექსანდრე იაკობის-ძე **ზოლოტარიოვი**,
3. კაპიტანი ვასილ მიხეილის-ძე **ობეხოვი**.

წითელი დროშის ორდენით

1. ლეიტენანტი ივანე პეტრეს-ძე **გონჩაროვი**,
2. უფროსი სერჟანტი ბორის მიხეილის-ძე **კოკინი**,
3. სერგი ყორნილის-ძე **მუხანოვი**.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. უფროსი სერჟანტი გიორგი თეოდორეს-ძე **ბელოფოვი**,
2. I-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ბორის პაველ-ძე **ნიზოვცევი**,
3. უფროსი სერჟანტი პაველ ვიქტორის-ძე **სალნიკოვი**,
4. სერჟანტი ვლადიმერ ივანეს-ძე **სმირნოვი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი
მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 20 ივნისი.

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსთა შემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულნი არიან:

ლენინის ორდენით — დივიზიის კომისარი ლ. გ. რუდენკო და ინჟინერ-პოლკოვნიკი ნ. ვ. სტეპანოვი.

წითელი დროშის ორდენით—ლეიტენანტი ვ. ა. ალექსანდროვი, უფროსი ლეიტენანტები ა. ა. ბრატუხოვი, ლეიტენანტი ა. ა. ბაბარინი, ლეიტენანტები ფ. ა. ბალაევი, უფროსი ლეიტენანტები ა. ბერეშანსკი, ბრიგადის კომისარი ა. ს. გრუბინი, უფროსი ლეიტენანტი კ. ს. დანილენკო, კაპიტანი ვ. ი. დემიდოვი, კაპიტანი ს. ტ. ყიდოკოვი, ლეიტენანტი ბ. ა. ვეინოვი, ლეიტენანტი ბ. ზ. კერონკენი, უფროსი ლეიტენანტი კ. ნ. ლობანი, უფროსი ლეიტენანტი კ. ვ. მანტუროვი, ლეიტენანტი ვ. ი. პონომარიოვი, უფროსი ლეიტენანტი ე. ფ. პოპოვი, პოლკოვნიკი ვ. ბ. პოშეხონელი, პოფპოლკოვნიკი ბ. მ. სადოვი, ლეიტენანტი ს. ს. სალნიკოვი, კაპიტანი ვ. ა. სმირნოვი, პოლკოვნიკი ვ. ი. სტალინი, კაპიტანი ტ. ე. სუკოროვი, I-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ა. გ. ფილიპჩუკი, უფროსი ლეიტენანტი ი. ნ. ფილიპოვი, უფროსი ლეიტენანტი ბ. ფ. იაკიმენკო, უფროსი ლეიტენანტი ვ. ფ. ოსიტკოვი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით—106 კაცი.

მედლით „მამაცობისათვის"—10 კაცი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"—57 კაცი. (საკვლევ).

სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები

წელიწადი გავიდა, რაც საბჭოთა კავშირის ხალხები სამამული განმათავისუფლებელ ომს აწარეთან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ვერაგულად დაეცხა თავს სსრ კავშირის 1941 წლის 22 ივნისს. როგორია ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები?

ჰიტლერელი მესეფეური რომ ჩვენს ქვეყანაზე ყაჩაღურ თავდასხმას აზადგებდნენ, მათ სერიოზულად ჰქონდათ იმის იმედი, რომ ისინი შესძლებდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ საყოველთაო კოალიციის შეკოწიწებას, ამ კოალიციაში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმასა და, ამრიგად, მოახდენდნენ სსრ კავშირის სრულ იზოლაციას მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისაგან.

საბჭოთა ქვეყანაზე გერმანიის არმიის ვერაგული თავდასხმის ცოტა ხნით ადრე, ჰიტლერელებმა, რომელნიც სულ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ რაფოთი თუ პრესაში ინგლისელ და ამერიკელ „პოლიტიკრატებს“, საკმაოდ ცნობილი ჰეს მოუგზავნეს სწორედ ამ „პოლიტიკრატებს“. ჰესის ამოცანა იყო დაეშინებინა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკოსები „წითელი საფრთხის“ ზღაპრით და დაეყოლიებინა ამ ქვეყნების მმართველი წრეები, რომ მიმხრობოდნენ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ სსრ კავშირის წინააღმდეგ. რა მოჰპყა ჰიტლერელთა ხროვის ამ ცდას? ჰიტლერელთა ვარაუდი— მოეგზიდნათ ჩვენი ქვეყნის იზოლაცია მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისაგან ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა. ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები არ მიემხრნენ ლაშქრობას სსრ კავშირის წინააღმდეგ. უფრო მეტიც. დიდ ბრიტანეთთან კავშირის ნაცვლად, ჰიტლერულმა გერმანიამ მიიღო დიდ ბრიტანეთთან ომის გამწყვეტება და ომი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი თავისუფალებისმოყვარე ხალხთა ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობა ომის პროცესში განმტკიცდა და მძლავრ ძალად გადაიქცა. ლონდონში 26 მაისს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების დადება და ვაშინგტონში 11 ივნისს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების ხელმოწერა აახლოებს ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების ჟამს. როგორც ახლა ცნობილია, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ფ. რუზველტთან ვ. მ. მოლოტოვის მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელ ამოცანათა შესახებ.

ვერავი ჰიტლერული პოლიტიკა, როგორთაც ვარაუდობდნენ, რომ ცალ-ცალკე დაეტაკათ თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის, საბოლოოდ და სამუდამოდ ჩაიმალა. ჰიტლერის ამ პოლიტიკამ წარმოშვა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ კოალიცია იმ ქვეყნებისა, რომელთაც მოეპოვებათ აღამიანთა, საწარმოო, ნედლეულისა და სურსათის ისეთი მძლავრი რესურსები, რომ უძლეველნი ხდიან ამ კოალიციას.

არანაკლებ სერიოზული მარცხი განიცადა ჰიტლერის ვარაუდმა და გეგმამმა წითელი არმიის ზურგის შესახებ. როდესაც ერთი წლის წინათ დანაშაულებრივ სამხედრო ავანტიურას იწყებდენ, ჰიტლერელებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა ზურგი მტაცეკ არ იქნებოდა და ფიქრობდნენ, რომ, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა, მოახერხებდნენ დემორალიზაცია შეეტანათ ჩვენს არმიაში, გაეხრწნათ შიგნიდან მისი ზურგი და ამით გაეტეხათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობა.

მაგრამ ჰიტლერული მესეფეური კვლავ მოტყუდნენ ანგარიში. ომის პირველ პერიოდში წითელ არმიის დროებითმა წარუმატებლობამ, აგრეთვე გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მთელმა შემდგომმა ბრძოლამ კიდევ უფრო განამტკიცა სსრ კავშირის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი და მის ხალხთა მეგობრობა.

გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა სსრ კავშირის ვერცერთ ხალხში ვერა ჰპოვეს და არც შეეძლოთ ეპოვნათ რაიმე მხარდაჭერა. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი თავისი სამშობლოს ერთგული დარჩა.

ჰიტლერელ ავანტიურისტებს ეგონათ, რომ, როგორც კი ომი ატყდებოდა, საკოლმეურნეო წყობილების დაშლა დაიწყებოდა და გლეხები მუშათა კლასისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდოდნენ. ახლა მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჰიტლერის ამ წამოწყებისაგან არაფერი გამოვიდა. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული ომის ერთი წელი უეცლობლად მოწმობს, რომ მეურნეობის ჩვენმა სოციალისტურმა ორგანიზაციამ, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა საბჭოთა წყობილებამ, და მისმა პოლიტიკურმა და სამხედრო ორგანიზაციამ ღირსეულად გადაიტანეს მძიმე განსაცდელი, რაც მათ წარდგა ომის ერთი წლის განმავლობაში და ამ განსაცდელის ბრძოლიდან კიდევ უფრო მტაცე და გამაგრებული გამოვიდნენ.

ომის ერთი წელი მოწმობს იგრეთვე, რომ უდავოდ სწორია პოლიტიკა საბჭოთა საბჭოწოფისა, რომელსაც არასოდეს არ დაეფუძნება ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური თავდასხმის შესაძლებლობა, და ამიტომ განუხრელად იბრძოდა, რათა შეექმნა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ერთიანი ფრონტი აგრესიისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ. მთელი ძალითა და სულ შუალუბებით ინვითარებდა საბჭოთა კავშირის მეგზეკალისა და სოციალის მეურნეობას, მეცნიერებასა და კულტურას და ამით განამტკიცებდა ჩვენი საშობლოს თავდაცვის ძლიერებას.

ამრიგად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ერთი წლის საომარმა მოქმედებამ გამოაშკარავა, რომ საფუძველი ჩაიშალა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკური გეგმები—სსრ კავშირის სამხედრო-პოლიტიკური იზოლაციისა და საბჭოთა ზურგის მერყეობაზე იმედის დამყარების გეგმები. ომის ერთი წლის შედეგად განმტკიცდა სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო მეგობრობა, განმტკიცდა წითელი არმიის ზურგი, განმტკიცდა სსრ კავშირის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი, განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა.

ასეთია ომის ერთი წლის პოლიტიკური შედეგები.

ასეევე საველაოო ომიორჩნდა გერმანელთათვის ომის ერთი წლის სამხედრო შედეგებიც.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაპყრობითს ომს რომ იწყებდნენ, გერმანელი იმპერიალისტები ფიქრობდნენ, რომ ისინი 1½—2 თვეში „მოიღებდნენ ბოლოს“ წითელ არმიას. მაგრამ ომი ხანგრძლივი, გაჭიანურებული აღმოჩნდა.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური გერმანიის ომი გერმანელთა ჯარებისათვის ხელსაყრელ და საბჭოთა ჯარებისათვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. ომის პირველ ეტაპზე, ჰიტლერის არმიას სსრ კავშირზე უეცარი და ვერაგული თავდასხმის გამო, ერთგვარი დროებითი უპირატესობა ჰქონდა წითელი არმიის წინაშე. ეს უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ, რომელიც თანდათან ემზადებოდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ომისათვის, წინასწარ გადაიყვანა მთელი მეურნეობა ფრონტის მომსახურებაზე, შეჰქმნა რიცხოვრივი სიჭარბე ტანკებისა და ავიაციის მხრივ. გერმანიის არმია სავსებით მობილიზებული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისას. ამასთან მას ჰქონდა ერთგვარი გამოცდილება ომის თანამედროვე წარმოებისა ტანკების, ავიაციის, ავტომატური იარაღის დიდი მასების გამოყენებთან; ეს გამოცდილება მან პოლონეთთან, ბელგიასთან, საფრანგეთთან, საბერძნეთთან და იუგოსლავიასთან ომში შეიძინა. ამიტომ გასაგებია, რომ ომის პირველ თვეებში წითელი არმია იძულებული იყო უკან დაეხია და საბჭოთა ტერიტორიის ნაწილი დაეტოვებინა. მაგრამ უკანდახევისას წითელი არმია მტრის ძალებს ჰქნიდა ცვლასტიკად ურტყამდა მას. ბრძოლების მსვლელობაში წითელი არმიის მეთაურები, რიგითი მებრძოლნი იწრთობოდნენ, გამოცდილებას იძენდნენ, მტრის ტაქტიკას სწავლობდნენ, მისი ტექნიკის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებს ითვისებდნენ.

ასე გრძელდებოდა 1941 წლის ნოემბრამდე.

ნოემბერში გაიფთრებული ბრძოლები გაიშალა მოსკოვის ახლო მიხაღეგობებზე. ჰიტლერმა ათობით რჩეული დივიზია მოაყარა მოსკოვს, რომელთა შორის ბევრი იყო სატანკო დივიზია. წითელი არმის ჯარები აჭიტიურ თავდაცვას ეწეოდნენ, ჰქანცავდნენ, სისხლისაგან ცალდნენ ტტერს, უდიდეს ზარალს აყენებდნენ მას, დეკემბრის დასაწყისში კი თვითონ გადავიდნენ კონტრშეტევაზე. ეს მომენტი გარდატეხის მომენტი აღმოჩნდა ომის მიმდინარეობაში. ჰიტლერელებმა მოსკოვისათვის ბრძოლა წაგვეს. საბჭოთა ჯარებმა ჰიტლერის ათობით დივიზია გაანადგურეს, დასავლეთისაკენ უკუაგდეს გერმანელი დამპყრობნი, მრავალი ათასი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

ჰიტლერელთა სარდლობას ამედი ჰქონდა, რომ ზამთრის თვეებში სამხედრო მოქმედებისაკენ მესეფეების შესაძლებლობა მიეცემოდა პოზიციური, სასანგრო ომის სახით. ჰიტლერელთა სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ ზამთრის თვეებს გამაკეთებლობა წესრიგში მოიყვანდა თავის შებერტყილ ჯარებს, გადაბალისებდა მათ, შეავსებდა ადამიანებით და ტექნიკით და, დასასრულ, დასაკვნებდა ომისათვის, რომ გაზაფხულზე ახალი ძალ-ღონით დაიწყო დიდი შეტევა. წითელმა არმიამ გერმანიის სარდლობის ეს სტრატეგიული გეგმები ჩაშალა. ინიციატივა ხელთ რომ იგდო, დეკემბრიდან მოკიდებული მარტამდე წითელმა არმიამ თავს მოახვია ჰიტლერელებს მათთვის მომქანცველი ზამთრის ბრძოლები, ამ ხნის განმავლობაში მან დიდძალი გერმანელი ჯარისაკი და ტექნიკა მოსპო, ნაადრევად დაახარჯვინა გერმანელებს ღრმა ზურგში მყოფი რეზერვები, რომლებიც განკუთვნილი იყო საგაზაფხულო-საზაფხულო ოპერაციებისათვის. წითელმა არმიამ ზამთრის უფლების პირობებში ისეთი ძალის დარტყმები აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რომ საძარკველი შეერყია გერმანელთა სამხედრო მანქანას და ნაადგი მოაშზადა იმისათვის, რომ ჰიტლერის არმია განადგურებულ იქნას 1942 წელს.

გერმანიის სარდლობამ, რასაკვირველია, შეაფასა თავისი არმია საგაზაფხულო-საზაფხულო ოპერაციებისათვის, მიუშაკა არმიას ადამიანთა და მატერიალური რეზერვების ერთგვარი რაოდენობა. მაგრამ ამისათვის ჰიტლერელი მესეფეურები იძულებული გახდნენ ცოტნით მოეხეტაო ან ადამიანთა მთელი ნაშთები, რომელთაც იარაღის ხელში დაჭერა შეუძლიათ, მათ შორის არასაკმარისი ვარჯიში, დიდ ფიზიკურ ნაკლთა მქონენიც. ზამთრის განმავლობაში ჰიტლერელთა სარდლობა არაერთხელ შეპირდა გერმანიის მოსახლეობასა, რომ ვაზაფხულზე „გადამწყვეტ“ შეტევას დაიწყებდა წითელი არმიის წინააღმდეგ. გაზაფხული გავიდა, მაგრამ გერმანიის არმიის არავითარი გადამწყვეტი შტეკეი არ დაწყებულა.

რასაკვირველია, ასეთი სიკრძის ფრონტზე, როგორიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტია, ჰიტლერის სარდლობს ჯერ კიდევ შეუძლია ცალკეულ უბნებზე თავი მოუყაროს ჯარების, ტანკებისა და ავიაციის ნაშვნელოვან ძალებს და ერთგვარი წარმატების მიღწევას ეცადოს. ასე მოხდა, მაგალითად, ქერჩის ყელზე, სადაც გერმანელებმა უპირატესობა მოიპოვეს ტანკებისა და განსაკუთრებით ავიაციის მხრივ, წარმატებას მიაღწიეს და უკან დაახვევინეს ჩვენს ჯარებს. ასეთი წარმატება ფრონტის ცალკეულ უბნებზე გერმანელებისათვის გამორიგებული არ არის არც უახლოეს მომავალში. მაგრამ ერთი რამ სავსებით აშკარაა, რომ ქერჩის ყელზე მოპოვებული წარმატებისთანა წარმატება სრულიადაც არ სწყვეტს ომის ბედს. ეს წარმატება დროებითი და წარმავალია. გერმანელთა არმია 1942 წელს ის არმია აღარ არის, რაც ომის დაწყებისა და ომის ერთ-ორ თვეში ჰქონდა. ეს ფაქტი ადამიანებმა ადვილად ვერ ეიგეს. ეს ფაქტი ადვილად ვერ ეიგეს ადამიანებმა,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დეპუტატ ბ. თ. სტურუას სიტყვა

(საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ევროპის ხალხთა სისხლით და საფრანგეთზე, პოლონეთზე, ჩეხოსლოვაკიაზე, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებზე ოიღი გადგარანი 1941 წლის 22 ივნისს ეკრაგდულად დაეხსა თავს ჩვენს საბჭოთა ქვეყანას.

ოთხი დღის შემდეგ სწორედ ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ეს უმაგალითო სისხლისმღვრელი ომი დაიწყო.

მთელი მსოფლიო ჩვენი არმიის უმაგალითო მამაცობით, ვეჟაკობით, გულადობითა და გმირობით, საბჭოთა ხალხის გამარჯვების ნებისყოფით, მისი ეროვნებით, ორგანიზებულობითა და მედგრობით, რასაც იგი იჩენს კაცობრიობის უბოროტეს მტერთან — გერმანულ ფაშიზმთან ბრძოლაში.

კაცობრობის დიდი გენიოსების—ლენინისა და სტალინის მიერ ორგანიზებული და აღზრდილი საბჭოთა ხალხი მამაცურად და თავდადებით იცავს თავისი სახელოვანი სამშობლოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

საბჭოთა ხალხი ყოველგვარი უსამართლო, დაპყრობითი, მძარცველური ომის წინააღმდეგია; მას უსაზღვრო უყვარს თავისი სამშობლო, თავისი მკერდით იცავს და არასოდეს არავის არ დაამონებინებს მას.

მაგალითად მოვიყვან საქართველოს.

წარსულში საქართველო მეფის უბრალო კოლონია იყო, რომელსაც სრულიად ან თითქმის სრულიად არ გააჩნდა მრეწველობა და რომლის სოფლის მეურნეობაშიც გაბატონებული იყო მიწის დამუშავების ადამიან-დროინდელი წესები.

საბჭოთა წყობილების დროს საქართველომ უდიდეს წარმატებას მიაღწია მრეწველობის და, სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

მაგალითად, სტალინური ხუთწლედების პერიოდში წარმოებამ ძირითადი საშუალებანი 22-ჯერ გადაიდო.

საქართველოს მრეწველობის განვითარების საფუძველნი, დაქუცმაცებული წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა მისი წარმოების ადამიან-დროინდელი წესითურთ გადაყვანილია მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის რელსებზე. აღუჭურვილია თანამედროვე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. საბჭოთა საქართველო ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების—ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნის, ხილის, მარცვლეული კულტურების და სხვათა ქვეყნად იქცა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ ყველა ერი და რასა თანასწორფასეულია, თანმიმდევრობით და ბოლომდე გადასწყვეტა ეროვნული საკითხი, რაც ნათლად არის ასახული სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში.

დიად საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერი სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობს „სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში“ (სტალინი).

სსრ კავშირში ნაციონალური საკითხის სწორედ ლენინურ-სტალინურმა გადაწყვეტამ უზარმაზარ ძალად ქცეულ ერთ ერ ერ ერ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 ივნისის დილის ცნობა

20 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

• • •

სევასტოპოლის მეჩვენის ბრძოლა სავსეა გმირული ეპიზოდებით, 1—ი ხარისხის ზენდოგი აქვს. კისლიკი მოწინააღმდეგის ტანკს მიეპარა და 15 მეტრ მანძილზე დაიშინა სანჯიგი ნარეკეთი სავსე ბოთლები. ტანკი დაიწვა. წითელლეტოვანმა ეფორატენკამ ბრძოლის კრიტიკულ მომენტში თავისი ტყვიამფრქვეველი წაიღო ღია პოზიციაზე და 200-მდე გერმანელი განსუსვეტა. წითელლეტოვანი ხოხლოვი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლას ეელი არ დატოვებია. მან ტანკსაწინააღმდეგო თოფით გაანადგურა გერმანელთა ტანკი, რომელიც ცეცხლს უშენდა ჩვენს საბრძოლო წყობლებებს. შავი ზღვის ფლოტის ავიიტკაფრილის მეთაურმა ამბ. კიჩიგინმა ერთი გიფრენისას მოსპო გერმანელთა 4 ტანკი. მფრინველმა ალეფლომა ბრძოლა ვოეშართა მტრის 8 ბომბდამშენს და „იუნკერს-88“ ჩამოაგდო.

• • •

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე არტილერისტებმა და ხალმბტკოფრენელებმა ორ დღეში ჩაანგრიეს და მოსპეს 20-ზე მეტი საარტილერიო და 15 ნაღმსატყორცნი ბატარია, 10 ცალკე ნაღმსატყორცნი, 30 სატყვიამფრქვეველ წერტილი, დაანგრიეს 5 მიწური საცეცხლე წერტილი და 3 ბეტონდეკი, ანადეთქეს სამმარი მასალის საწყობი და გასწყვიტეს სულ ცოტა 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ქვეგანაყოფებმა, რომელთა მეთაურებიც არიან ამბ. ფომენკო და კორჩიკი (ჩრდილოდასავლეთის ფრონტი), წინ წაიწიეს. ეა ახალი, უფრო ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. მტრის ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული და დაჭრილი დატოვეთ.

• • •

ერთ ბრძოლაში უმცროსმა მეთაურმა უშაკოვმა და ზოთელარმიელმა ბალანინმა მტრის სარტილერიო და სატყვიამფრქვეველ ცეცხლქვეშ 15-ჯერ ალადგინეს დარღვეული კავშირგაბმულობა.

• • •

ლენინგრადელ პარტიზანთა რამდენიმე რაზმი, რომლებიც გიერთიანებულნი არიან ამბ. ბ.ია და კ.ა მეთაურობით, თავს დაესხა მტრის გამაგრებულ პუნქტს. გაადარბეულ ბრძოლაში პარტიზანებმა გაფლეთეს 130 ოკუპანტი, განადგურეს ავტომატური ხარაბაზანი, ნაღმსატყორცნი ბატარია და მუკორიდან გამოიყვანეს გერმანელთა ტანკი. ამავე დღეს საბჭოთა პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადასტრეს მტრის სარკინიგზო ეშელონი, რომელიც ტანკებით, არტილერიით, საწყვითთა წყალი ეზიდა იყო დატვირთული; ეს ეშელონი 50 ვაგონისაგან შესდგებოდა.

• • •

გერმანელთა მე-11 ქვეითი დივიზიის ტყვე ფელდფებელმა ოიზეფ კ-მ განაცხადა: „მე ტყვედ დაგრეფდით ჩემი ოცეულიანად. ჩემთან ერთად იარაღი დაკარგა შეაბა-ფელდფებელ ზ-ს ოცეულმა. ეს ასეთი ვითარებაში მოხდა: ძლიერი სარტილერიო დაშენის შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ დაიძრნენ რუსების ტანკები. მე წინადადება მივეცი ჩემს ჯარისკაცებს დანებებულიყვნენ. რამ მიიძულა, ასე მოვქცეულიყავი? მე საშინელად დამეალა ომმა, წლის განმავლობაში ჩემმა ასეულმა ათჯერ მიიღო შეტევა. ამ ხნის განმავლობაში მან სულ 300-ზე მეტი კაცი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მეტისმეტად დიდ მსხვერპლად ეა სისხლად ვეოვდებმა ეს უაზრო და დანაშაულებრივი ომი. ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა აგრეთვე სასოწარკვეთილმა წერილებმაც, რომლებსაც ოჯახიდან ვიღებდი. დღეჩენი მწერს, რომ უბრალო ზ-ს ძალზე გაიტანჯა და სწყვლის მათ, ვინც ეს ომი ასტეხა“.

• • •

ბრძოლის ველზე ნაპოვნია წერილი, რომელსაც ფინელ ჯარისკაცს იალმარი სალსტრემს სწერს ცოლი, ამ წერილში ნათქვამია: „ჟელოდი, მიგრავ მეტი ლოდინი აღარ შემიძლია, რადგან მანდიდან შენ ეგრისაოდეს ვეღარ დაბრუნდები. აქ ბევრი ფრრე ცხოვრება გვაქვს: ალბათ მალე დაეიბრეკებიან. შეიძლება შეეხოლეს მიიღო და ჩამოხვიდე ჩვენს დასამარხავად“.

21 ივნისის საღამოს ცნობა

21 ივნისის განმავლობაში ფრონტის **სევასტოპოლის** უბანზე ჩვენ ჯარები გერმანელ ფაშისტთა ჯარების არაერთგზისსა და გაფფთრებულ ეერიშებს იგერიებდნენ. მოწინააღმდგომ უდიდესი მსხვერპლის ფასად მოახერხა სოლოვინი შეპარულიყო ჩვენი თავდაცვის ხაზში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

გასულ კვირის მანძილზე, 14-დან 21 ივნისამდე, საჰაერო ბრძოლებში, მტრის იერიფრონტებზე და სახენიტო არტილერიით მოსმობილია გერმანელთა 264 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 103 თვითმფრინაეი დაეკარგეთ.

• • •

20 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 16 ტანკი, 60 ავტომანქანა ჯარიანად და ტეტრთითანად, 2 ქვემეხი, 14 ნაღმსატყორცნი, 20 სახენიტო ქვემეხი, რამდენიმე ავტოიასტერნი, გაანადგურეს ნაწილობრივ გასწყვიტეს მტრის 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ბარაოვის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ, 2 პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალით და ტანკებისა და ავიაციის დახმარებით, იერიში მოიტანა ჩვენს ნაწილებზე. ბერმანელებმა დიდი ზარალი, ფასად მოახერხეს გადმოეღახთ მდინარე ერთი ადგილის და რამ-დენადენ ნაპირზე გადავიდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ბრძოლის ველზე დარჩა მრავალი მოკლული და დაჭრილი მიტოვებული ფაშისტური ტანკები.

• • •

ჩვენმა სატანკო ქვეგანაყოფმა (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი) მოწინააღმდეგეთან ბრძოლის დროს მოსპო 19 მოწერილ საეეტეხო წერტილი, 43 ბეტონდეკი, ეერმანელთა 4 ტანკი, 2 საარტილერიო ბატარია და ცალკე 12 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების 2 ბატარია და გასწყვიტა 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

საბჭოთა მოიერშეი თვითმფრინავთა ჯგუფი გერმანელთა 7 ავიაგამანადგურებლის შეტევა ფრონტის ხაზის თავზე, მფრინავეი-გამანადგურებელი, უფროსი ლეიტენანტი მაკაროეი, რომელიც მოიერშეებს იცავდა, გამეფეფლად ჩაება ბრძოლაში. გერმანელთა ავიაგამანადგურებლებთან და ამით საშეალება მისცა ჩვენს მოიერშეებს შეესრულებინათ საბრძოლო დავალება. ამბ. მაჭანიმეაძ 7 თვითმფრინავის წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდო ერთი „მესერშმიტი“ და შშეადიბით დაბრუნდა თავის აეროფრონტზე.

• • •

სნაპერმა ამბ. მაკუტეეიჩმა 4 დღეში გასწყვიტა 15 ჰიტლერეული. სნაპერმა ამბ. სოლონინმა—13 ჰიტლერეული, ამბ. მაზოკმა — 11, ამბ. ისაევი ბარიეემა—5 და სნაიპერმა ამბ. კონიუხო